

საქართველოს
იუმორისტ. ჟურნალი




აშაპის აპოკალიფსი



№ 12

ავტ. ცინკ. ქარ. ანხ.



გერმანელი მასწავლებელი, ამბობენ, ძველი სედანთან გერმანელი მასწავ-
ლებელი გაიმარჯვა.
დღეს კი ზენ ორივენი დაერჩით საქობო. (გუსელი ჟურნალიდან).

ბივშტექსი.

პატარაობიდანვე ისეთ წრეებში ვიზრდებოდი, რომ იმ თავითვე ჩანერგული მქონდა გულში:

— უპირველეს ყოვლისა მე მოქალაქე ვარ!

ეს რწმენა ისე ღრმა და ურყევი იყო, რომ არავითარ ძალას, არავითარ საბუთს, არც თუ უადრეს მქერმეტყველობას შეეძლო ოდნავათაც არის შეესუსტებია იგი ჩემ გულში.

როგორც ფანატისკოს ებრაელის ჰარწამს თავისი ერის სხვა ყველა ერებში ღვთისაგან რჩეულობა და ამ რწმენას ვერ ურყევს მის თანამძემოთა ნია დაღ ტანჯუასა და დამცირებაში ყოფნა, ისე მეც: საზოგადოთ რუსეთისა და კერძოთ ჩემი ქვეყნის ცხოვრების ყოველდღიური ერთი მეორეზე უღმობელი და უსამართლო მაგალითები თითქოს არც კი ეხებოდა ჩემს ძველ რბილში გამჯდარ შეგნებას და მე ამაყთ გავიძახოდი:

— უპირველეს ყოვლისა მე მოქალაქე ვარ!

ბევრჯერ შემთხვევია, რომ ჩემი მოქალაქობრივი სიამაყისა და თავმოყვარეობის შებღაღვა და შეგინება მოუნდომებიათ, მაგრამ ყველა ამ მემთხვევის დროს ენერგიული და ძლიერი პროტესტითა და მოგერებით უვნებლოვ დამიხსნია და გამომიტანია ჩემი საარსებო რწმენა თავისუფალ მოქალაქეობისა.

და, აჰა, რაც ამდენი ხნის განპავლობაში ვერ შეაჩუცა ვერავითარმა განსაცდელმა, თვლის დახამხამებაში მოსპო და გაანიავა ერთმა გემრიელმა სუკის ბივშტექსმა.

რომ იცოდეთ, როგორ მიღვარდა წინაა სისხლშემუმშრალი, ერობით გაყდენთილი შებრაწულ კართოფილით ალყაშემორტყმული ბივშტექსი!

მაგრამ მას შემდეგ, რაც მან ჩემი საუკეთესო და უმკვიდრესი რწმენა წამართვა და დამაობლა, მე მძაგს და მეზიზღება იგი.

და ეს გრძნობა ბივშტექსისადმი ისევე ძლიერია ჩემს გულში, როგორც მოტყუებულ სატრფოს გულში მოღალატე მიჯნურისადმი...

—

ჯერ ერთი თვეც არ გასულა, რაც ეს ამბავი მოხდა.

საზაფხულოთ აგარაკ ბ—ში ვიყავი.

მთელ პირველ კვირას, დილიდან საღამომდე

და საღამოდან დილამდე, კოკისპირულათ წვინდა განუწყვეტლივ.

ვისაც აგარაკის აბეზარა წვიმა გამოუცდია, ის კარგათ მიხედება ჩემს მდგომარეობას.

შავი, სქელი ღრუბლებით დაფარული ცა, გაწუწული ხეები და სახლები, გაუვალი ლაფი უდაბნო ქუჩაში და გულმოსაკლავი მარტოობა.

სულ ხუთიოდე მოაგარაკე ვიყავით და ერთმა ჩვენგანმა (მადლობა ღმერთს — მე არა) თავი მოიკლა, ასე რომ ოთხიოდე დავრჩით.

თუმცა ამობენ, უკურნებელი ქლექიანი იყო და მისთვის მოისპო სიცოცხლეო, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ცდებიან:

რომ ის საზიზღარი წვიმა არა—ასე ადვილათ თავს ვერ გამოიძეტებდა და დღესაც ცოცხალი იქნებოდა.

აცხონოს ღვერთმა, მაგრამ მისმა მაგალითმა კინაღამ მეც გამიტაცა და სიცოცხლეზე ხელი ამაღებინა.

ცა ისე იყო პირშეკრული და ისე დაბეჯითებით და აუჩქარებლათ უშენდა წვიმას, რომ იმედი გადავიწყვიტე: მეშვიდე დღეს, დაწოლისას სასთუმლის სახესე შუშა ნიშადურის სპირტი შემოვიდევით და ფიცი დავღე:

— თუ ხვალ დილითაც ასეთი წვიმიანი დღე გამოიქნდა, უნამუსო ვიყო თუ ის დღე დავიღამო და ეს შუშა არ დავცალო მეტი.

მაგრამ ღმერთმა არ გასწირა კაცი ჩემგან განაწირი და მერვე დღე ისეთი გათენდა, რომ ერთ წუთში დამავიწყა განვლილი კვირა.

ბუნება ბროლოვით ეღვარებდა და ჯერ კიდევ წვიმა შემუმშრალი მიღამო ისე ბრწყინავდა მზის სხივებზე, რომ მე მაშინვე კეკლუც ბავშვს შევადარე, თმა ხუჭუჭა პატარა ბავშვს, რომელსაც—აი, სულ ერთი წუთიც არაა — ცრემლები დაბაღუბით ჩამოსდიოდა ფუნჩულა ლოყებზე, მაგრამ დიდამ ტკბილი კვერი ჩაუღო ხელში, ბავშმა უცებ გაიღიმა და ამ ღიმილმა მყისვე გააბრწყინა მთელი მისი მშვენიერი სახე და წამწამებზე დაკიდული ცრემლები...

მე დარწმუნებული ვარ, საბრალო მცხუთე მოაგარაკე ეხლა სასტიკათ ნანობდა თავის მოუფიქრებელ საქციელს და სიამოვნებით დაუბრუნდებოდა ყველა თვისი ბაცილებიანა სიცოცხლეს, მაგრამ ვაი—რომ თავის მოკვლა ბევრათ უფრო ადვილია, ვიდრე თავის გაცოცხლება!..

მე შვლის ნუკრს დავემსგავსე. მზემ აავსო

ჩემი არსება და, როგორც ორთქლმა მოსწყვიტოს ადგილს და გააქანოს ორთქლმავალი, ისე გამაქანა წინ, გაუმშრალ ფიჭვის ტყეში.

ნაშუადღევს 4 საათამდე ვიხეტიალე და კიდე იმდენსავე ხანს ვიხეტიალებდი სიამოვნებით, მაგრამ ესლა შიმშილის გრძნობამ აავსო ჩემი კუჭი და, როგორც ორთქლმა გააქანოს ორთქლმავალი, ისე გამომაქანა უკან, ავარაკისაკენ.

ოჰ, რა არის ეს კუჭი!!

ფინთხივით წამოვყედი თავჩაღმართში. მოვრბოდი და გზაში „შაშვი, კაკაბის“ ხმაზე ვმღეროდი:

— კუჭი, მზის სხივი შაიბნენ,—დილა იყო მშვენიერი...

— კუჭმა აჯობა მზის სხივსა...

ქეშარიტათ, კუჭმა აჯობა მის სხივსა!..

—

— აბა, გეთაყვა, ჩქარა: შემიწვი ერთი ბივშტექსი, მაგრა...

— ემ საათში ბატონო!

— მოიცა, მოიცა! სად მირბიხარ?

მსახური მოტრიალდა, სუნ-აღბულ მამებარით გაქვედა ჩემ წინაშე და თვალი თვალში გამიყარა:

— გვიბრძანეთ, ბატონო!

— შემიწვი ბივშტექსი, მაგრამ, იცოდე, გუშინწინდულა ბარკლის ხორცი არ აიღო... ეს ხომ ვიცი, რომ სუკს არ გაიმეტებთ... ჩალადაჯს მიანც აპქერით, რომ კბილები არ დამამტვრიოს... კარტოფილი ცალკე შეწვით კარაქში... მოიცა!.. ბივშტექს ერთი კვერცხი დაახალეთ ცილიანა..

— ჰაგამბურგსკი გნებავთ, ბატონო?

— ჰო, „ჰაგამბურგსკი“, ოლონდ ჩქარა!

— ემ საათში, ბატონო!

მე ბეჯითად ვიცი, ყველა ჩემი დარიგება ამაოა და დღესაც ისეთ „ბივშტექსს“ მომართმევენ, გუშინ წინ რომ ვკამე. რა გაეწყობა. სხვა საქამალს მიანც ბივშტექსი მიჩვენია...

— ეი, ბიჭო!—გაისმა ჩემს უკან მსხვილი, ხრინწიანი ხმა.

მივიხედე, —სუფრას უჯდა კარგა ჩასუქებული, უღვაწა ბოქაული.

მსახური თვალის დახმამებაში მის წინ გაჩნდა, მოკრძალებით დაიხარა და გაცივდა.

— შემიწვით ბივშტექსი! სუკის იყოს, იცოდე. და ზედ კვერცხი დაახალე!.. კარტოფილი შემოუწყვე. ჩქარა!

— ჰაგამბურგსკი გნებავთ, ბატონო?

— ჰო! ჩქარა!

გულუბრყვილო ბოქაული! ჰამბურგულათ შემწვარი ბივშტექსი შეუკვეთა; სჩანს გეოგრაფიაში მოისუსტებს, თორემ, რომ იცოდეს—ჰამბურგი გერმანიის ქალაქია, ასე წინდაუხედავათ არ მოიქცეოდა.

ბივშტექსის მოლოდინში ჩვეულებრივმა ფიქრებმა გამიტაცა:

— ჩვენს ბედს ჩვენვე ვქმნით, ვფიქრობდი მე: რა უწაშია რალაც „რეიმი“ და „წესწყობილება“? ყველა ჩვენგანი თავისუფალი მოქალაქეა და ეს პატიოსანი ბოქაულიც, რომელიც უსამართლოთ აუქულდება ზოგიერთებს და დანახვაც კი ეჯავრებათ მისი, როდი ზღუდავს და უშლის ჩვენს მოქალაქეობრივ ცხოვრებას, არამედ, პირიქით: იფარავს და უზრუნველ ჰყოფს ყოველსავე მოქალაქეს... რეიმი და წეს წყობილება, კანონი და მთავრობა

არის—კალაპოტი.

როგორც მდინარე წალკავს მიდამოს, თუ კალაპოტი არა აქვს, ისე თავაშვებულ კაცთა კრებულიც გააპარტახებს ცხოვრებას თუ კანონიერებას არ მიჰყვება. ნუ აღუღებთ კანონს და იყავ ბედნიერი. აი ყოველი მოქალაქის პრინციპი, და ეს ბოქაულიც მხოლოდ მისთვის მსახურობს თავ განწირვით და გულწრფულათ, რომ ამ პრინციპის დამრღვევს სამართლიანი ლაგამი ამოსდოს...

ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული... უცებ ისეთი საღერღელის ამშლები სურნელება მოხვდა ჩემს ნესტოებს, რომ გრძნობის ნამეტნაობისაგან კინადამ გული წამივიდა და ბედნიერების ტალღამ დაიარა ჩემი ძარღვები.


— ინებეთ, თქვენი ბივშტექსი!

მსახურმა მომართვა ბივშტექსი!


რას მიედ მოედებთან ეს მწერლები და პოეტები „სატრფოს თმათა სურნელება“, „გაზაფხულის ყვავილთა დამატრობელი ფშინვაო“! „ამბროსა და მუშუკის ნაზი სუნიაო“! განა რა „ყვავილთა ფშინვა“, და რომელი „სატრფოს თმათა სურნელება“ შეედრებოდა იმ ღვთაებრივ ორთქლს, ოღნავ სისხლიანსა და კვერცხით დაგვირგვინებულ ბივშტექსს რომ ასდიოდა! ნაძვილი სუკის ბივშტექსი იყო! რბილი ვითარცა ღრუბელი და ჰაეროვანი, ვითარცა ოცნება!

— ბარაქალა! აი ყოჩაღ! ეს მომწონს!.. ნამ-

ოგის ილიუსტრაცია



სანგრებში პატრონების გადაცემა.



გერმანელების იერიში მოწამლული გაზის შესრობების შემდეგ.

დვილი სუკია! ალტაცებით წაპოვიდახე მე, მაგრამ მსახური წასულიყო კიდევ.

ღანა-ჩანგალი მოვიმარჯვე და ის იყო უნდა გამეჭრა შუაზე ბივშტექსი, რომ ხელში ვიდაც მეცა.

— უკაცრავით ბატონო: ეგ თქვენი ბივშტექსი არ ყოფილა!

როგორ ვაბედა არამზადა მსახურმა ასე უდიერი მოპყრობა? სისხლი ყელში მომაწვა და ზეზე წამოვარდი.

— როგორ თუ ჩემი არ ყოფილა? როგორ ბედავ შე...

აღბათ საზარელი სახე მქონდა, რადგან მსახური კალიასავით გადახტა განზე და შეშინებული ღიმილით ჩამჩურჩულა:

— ეს ბატონ პრისტავისა ვახლავთ, თქვენ ახლავე მოგართმევთ, ბატონო!

— ვასწი, დაიკარგე, შე არამზადავ!

მსახური გაპჭრა.

ცოტა რომ დაეშოშინდა და გამოვეცქვიე, აღვიღათ მივხვდი საქმის გარე მოგბა: ეს სუკის ბივშტექსი საგანგებოთ გაუკეთებიათ. „ბატონ პრისტავისთვის“, მაგრამ არევიით და შეცდომით

ჩემთვის მოუტანიათ. მგონი, ბოქაულმაც აიღო ექვი საქმის ნამდვილი ვითარებისა, რადგან მალმალ იქიკრებოდა ჩემი ბივშტექსისასკენ და ყოველ ლუქმას თვალს აყოლებდა.

— ეი—ველარ მოითმინა მან: ბიქორა ღმერთი გიწყრებათ? როდემდის უნდა გოცადოთ აქ?

მსახურმა დატყვევითა და შიშით გამოიტანა ჯორის ნალის ტოლა გარუჯული ხორცის ნაქერი და სუფრაზე დაუდო.

— ჩემი ბივშტექსი!

მაშინვე ვიცანი და სიცილი წამსკადა.

ბოქაულმა ჯერ ბივშტექსს შეხედა, მერე მე, შემდეგ კიდევ ბივშტექსს და კიდევ მე, ბოლოს მსახურისკენ მიბრუნდა, თვალეები საშინლოთ დაუბრიალა და დაოყვირა:

— ეგ არის; შე მამა..., სუკის ბივშტექსი?

— არა, ბატონო... სუკის... სუკის ბივშტექსი...

— ჰო, სუკის ბივშტექსი! სად არის სუკის ბივშტექსი?

— სუკის ბივშტექსი იქ ვახლავთ, ბატონო!

და. ჩემი ბივშტექსი ანიშნა.



პერემიშლის ბატარეა.

ველარ... მოვიტომინე. თავის შეკავება ყოველივე ღონეს აღმატებოდა და გიჟივით ხარხარი დავიწყე.

მაშინ ბოქაული ადგა, ჩქარი ნაბიჯით მოვიდა ჩემს სუფრასთან და ისე ძლიერათ დაპკრა ხელი მაგიდას, რომ ჩემი სუკის ბივშტექსი ახტა და იატაკზე დაეარდა ხოლო მე ზეზე წამოვარდი.

— თქვენ... რას ხარხარებთ ყმაწვილო კაცო!

ეს სიტყვები ისეთი ბრახით წარმოსთქვა, რომ გგონებოდა ისრჩობაო.

— მე დამცინით, განა? დაუმატა მან.

— არა, მე თქვენ კი არ დაგცინით, მე მსახურის შეცდომა მაცინებს. ვუბასუხე მე.

— თქვენ... მაგ სიცილს... ინანებთ!

— სრულიად არ ვინანებ. მე თავისუფალი მოქალაქე ვარ და სრული ნება მაქვს გავიცინო, თუ რამე სასაცილოთ მიმანია.

— რაო? თავისუფალი მოქალაქეო მე თქვენ... გაჩვენებთ!.. როგორ ბედავთ თქვენ მთავრობის დაცინვას და ისიც მაშინ, როდესაც მთავრობა სამსახურის მოვალეობას ასრულებს?.. თქვენი გვარი?

— თქვენ არაეთიარო უფლოება არა გაქვთ...

— რაო, რაო?

— მე კარგათ მესმის მთავრობისა და კანონიერების მნიშვნელობა... კანონი იგივეა ჩვენთვის, რაც კალაპორტი მდინარა...

— თქვენ გესმით თუ არა? კანონის სახელით მოვითხოვ, დაუყოვნებლივ თქვენი ვინაობა მითხრათ!

— მე ქურნალისტი ვახლავარ... და კარგათ მესმის... კანონი ის კალაპორტია, რომელიც...

— თავი დაანებეთ მაგ ყბელობას და თქვენი პასპორტი მიბოძეთ!

— მე კალაპორტი, რომელიც კანონს...

— ნომცემთ თუ არა თქვენ პასპორტს?

— ხება მიბოძეთ... თქვენ თითონ არღვევთ იმ კალაპორტს, რომელიც... კანონმა ე. ი. კალაპორტმა...

— მაშ თქვენ პასპორტი არა გაქვთ!.. კეთილი! მე თქვენ გაპატიმრებთ კანონის ძალით!

— კანონის კალაპორტი... მე კარგათ მესმის... მე თავისუფალი მოქალაქე... თუ ბივშტექსის სუკი ე. ი. სუკის ბივშტექსი...

— Городовой!

დასწყევლოს ღმერთო! ეხლაც ვერ მომისახრებია, საიდან გაჩნდა ისე უცბათ „გარადავო“.

— Городовой! წაიყვანე ეს ვაჟბატონი „კალაპორტი“ ე. ი. საპოლიციო სახლში და ჩემ განკარგულებამდე გყავდეს... თვალი მაგრათ გექიროს: უპასპორტო ვიგინდარა!

— როგორ თუ... — დავიწყე მე, მაგრამ უცებ ქუჩაში გაჩნდი.

არ გეგონოსთ, გადაფურენილიყო ქუჩაში! განა ასე სწრაფათ გადაფურენა შეიძლება?

თურმე სად გოროდოვოს მუჯღლეუკუნი მხრებში და სად ფრთები!

რამდენიმე წუთში „კალაპორტი“ ვიჯექი და „განკარგულებას“ ველოდი.

მხოლოდ გუშინ ვამოვედი „კალაპორტიდან“, მაგრამ ექ! ეხლა:

— უპირველეს ყოვლისა მე მოქალაქე არა ვარ!

თავუნა.

მარადეა

ზაფხული არის, ბული დგას.
კოლოც ჰიმნს თვისას აქუხებს,
ხან უკბენს ვისმე, ხან კიდევ
მარტო ბზულით აწუხებს
და თუმცა შარადებისთვის
მას აღარ მოეცალემა,
(მოსწყინდა რითმებისათვის
ამდენი ტანჯვა წვალემა),
მაგრამ რას იზამს, მკითხველი
მას უღირს უფრო ძვირად
და იი კიდევ ჩამოჯდა
იგი მაგიდის პირად.

—
იპოვეთ იგი ცხოველი,
ვის ზურგზე ჯამი ახურავს,
ვინც ხმელეთზედა „ნაეარდობს“,
წყალშიც თამამად დატურავს.
ორი ასოსგან შესდგება
იმისი მოკლე სახელი
მაშ დამიწერეთ უკუღმა
ვინაც ბრძანდებით მზახველი.

—
აწ ნახეთ მოკლე თქმულება
ხალხისგან ანაშენები,
მისივე ფლოსოფია,
მისივე დამამშვენები...
შემეცნებაა ზოგადი
იმ თქმულებათა წოდება,
(ვინაც ვერ მიხვდა, მე იგი
გულწრფელად შემეცოდება)
სამი მარცვლი უბია
იმ სიტყვას სანაქებოსა,
მაგრამ უკანა არ გვიღდა
კვლავ გაჰყვეს, აეწებოსა.

—
საღურგლო იარაღებში
ის ენა მკრელი ხშირია,
მაგრამ ჩვენ მისგან მარტოკა
პირველი კბილი გვეჭირა.

—
ახლა გთხოვთ ქალი მიპოვოთ
ვინაც მამრისგან შობილა
(რამეთუ, იმ დროს, სხვაგვარი
კაცის გაჩენა ყოფილა).

ცხოვრობდა ტურფა წალკოტში,
სად გველიც შემოეფარა,
და იმა გველის ცლუნებით
მებაღეს ვაშლი მოჰპარა.

—
გათავდა საძიებელი.
შარადა უკვე აეგო...
ვინც იმას მიზნათ ისახავს
იმისი საქმე წაეგო.

კოლო.

სიმინდის დარიგება.

(ღანჩხუთადან)

საშინელი წელიწადი დაგვიდგა. უბედურებაა
აბა რაი, აგერ ჩააოგვიწვა შიმშილი და დიდი და
პატარა ქირიან ქათამსავით დაბარბაცობენ, მთქნ-
რებამ ყპაის ძვლები ყველას დუღულა და არაქა-
თი გაჰოულია. ნასწავლებს რომ ვკითხვ, ჩხუბი აწი
იქნება, აქამდე რა იყოფო მითხრა. რაც აქამდე
ჩემმა ყურმა გეიგონა იმის უარეს თუ გევიგონებ
ქვეყანა დეიქვევა და იგია. ქე ეწერა მაქსიმელ ხუ-
ცის წიგნში 1914 და 1915 წლები უბედურია,
ხალხი გეიჟლიტება და ვინც გადარჩეს მაქახელაის
სროლით ულოცავდენ ერთმანეთსო, მარა რავა
მეგონა.

იპრიანა ბედმა და გუშხამ ყანიდან რომ ამი-
ველი ჩემმა ქალმა ფატმანემ მახარა:—გავეკთიდი
კაცი, დღეს ნაცვალმა დეიძახა: ხვალ ჯუმათის სტან-
ციაში სიმინდს არიგებენ და დოტილია ჩამევიდესო.
იმ დამეს სიზმარში თლათ მალლა მალლა დაეფრი-
ნავდი. გათენებამდი ვფხიკე ქაჯვარაის კატრიდან,
შვიდი ვერსი გზაი, მზის ამოსვლამდი ჩევირბინე
კანცელარიაზე. ღმერთი ფშეინვას და უბედურებას
არ გამოუღვეს, ვინც ჩვენი კანცელარია იქინეი
პალიასტომის პირზე ჩეიტანა. იქინეი რიონობაზე
კობრიზა რომ წვეილოდი საგზალი მიმქონდა, აბა
რა საკანცელარიაო. ადგილია იმ ტალახში? რავარ-
ცხა მელირსა, ჩივედი. შევხედე, რას შეხედავ, მუ-
ყურია თავი ამ მშეიერ ხალხს. ერთი მაგრაათ რომ
დააქსიტო ათი წეიქვევა მიწაზე. უყურებენ რო-
დის დაგვირიგებენ სიმინდსო. აგერ გამობრძანდა
ჩვენი სასახლოთ ამორჩეული გირგოლ მამასახლი-
სი და გამუაცხადა:

— სიმინდი ფულათ მევიდა მარა ის მიიღებს,
ვინც მეტი გაჰიერებულიაო. წეიკითხეს სია. მეც

კი ვერიე შით, მარა მკვდრებში გარევა ჯობდა ამას. მომიწია ოჩერეზი, შევედი. დიმიტრი მწერალმა წაპიკითხა.

— ლოტელა, შენზე მოვიდა ოცდა ათი მანეთი, მარა ხომ იცი ექვსი მანეთი წროუნდელი გადასახადი გაქ, ცამეტი აბაზი იდომიკა, ორი აბაზი მონატანი ჩვენ გვინდა, ავერ ივანე ვაჭარის ნისია გქონებია თორმეტი მანათი, ამას გარდა გერგება ცხრაი მანათი მოაწერე ხელი და წვიდე.

— რაზე მუაწერო ხელი ძმავ, თქვენი ჯიბის გაუსებაზე? რაუა, ავი ფული მე მასხსხეს თუ თქვენ გამოგიგზავნეს დოტილაი მოწამეთ დეისარი და გეიყვიეთო? მე რას მიბარებდით აქნაი. მე თუ ვინმეის ვალი მაქვს აპეკუნი რათ მინდა მე ვერ მივსცემ მეთქინ, დივემშვიდობე და გამოვხტი გარეთ. მაშასახლისმა მითხრა:

— ლოტილავ, აშხელა მუცელი რომ მაქვს მე ქამა არ მინდა და ბატონი დიმიტრი კიდევ უცხო ნაბატივები კაციო.

— მე რას ვეძებ თქვენს დიდ მუცელს? ცხელი ნაცარი, წინ წყალი, უკან მეწყერი მეთქი.

ასე დარიგდა სიმინდი ჩვენში.

ბევრი სეირი შემომგსრა და კიდევ შემომგსრება. ანანიეი და მარკოზიც კი აშენებდენ ჩვენით კოშკს, მარა ბრანწი, გულუშა ფეხი მგონია მულუქირეს საყლაპავში. თქვენც მალე გნახავ ქეზხოს მაარევედეთ მუხის დელეში. ა დათვი და ა კვალი.

ლახვარი.

მიწის ძვრა.

(სიზმარი სოხუმელისა)

სიზმრათა ენახე ქალაქი, რომლის აღწერაც მწყურია, სახელად ერქვა „ტლოპეთი“ ძველს დროში—დასაკურია.

ბუნების სიმშვენიერით სწორეთ ედემის დარია: აქვს ხმელეთიდან რკინის გზა, ზღვაში ნავთსაყუდარია.

გზა ესე ძველის ძველია, თუმც ჯერაც აუგებელი, ამა ქვეყნისა მკვიდრთათვის აქ რაა გაუგებელი?!

და მისი ნავთსაყუდარიც უკვე ბუხტია ცნობილი,

ქალარა ძველის ძველობით, თუმც არც კი არის შობილი.

ქალაქი ამწვანებული საუცხოკოა ჰავითა, ლაფში ჩაფლული ფეხებით, ცამდი აწვდილი თავითა.

თავი მას ება ბევრგვარი: თავი ბუნებრივ ციურთა, თავი ქალაქის, თავი ცხვრის და თავიც პოლიციური.

და თავთა ესდენთ პატრონსა დიდი შეშვენის გონება, აურაცხელი სიმდიდრე და უთვალავი ქონება.

მხოლოთ მასთანვე დიდ თავებს დიდიცა შვენის მუცელი, ქალაქის დიდი ქონების გასადნობ—გასაქუცველი.

და ბედიც დღემდი ამ ქალაქს ამ მხრით სწყალობდა დიდათა მუცელი ჰქონდა სულ სავეც, თავი განძთ განარდიდათა.


მთელი ქალაქი კი ჰგავდა კან ჰს ტალახში მწოლარეს, ცოხნაში გალაღებულსა, ზარმაცად მთელიმავს, მცონარეს..

და ერთ დღესა.. მოხდა „მიწისძვრა“! თითქოს არისო მესსინა: უფსკრულმა შთანთქა კამეჩი, რომელსაც ლაფში ეძინა.


და იმ არსების აღგიღზე დღეს სულ სხვა მოსჩანს ცხოველი, ლამაზთ გაიყურება, იმედის სხივთა მთოველი..

არ ვიცი, ამას რა მოჰყვა, რაც რომ მესიზმრა ძილშია! ძილი კი იმან გამიფრთხო, მატლი რომ მეჯდა კბილშია!..

ონისიმე.




დიდუბის ქართული კანთონი (წინა მხატი).



ქინა-ქანთონი.

გვგმა ქართული კანთონის წარდგენილი მხატვარი ქობულთის მიერ ქან-შინა-ქან-გან საზოგადოების მოთაბი გამგეობის წინაშე დასაწუნებლათ

დიღუზის პართული გათორი (უკანა მხარე).



ტიღუ: ქართ. აშხ.

გვგზ ქართული პანთეონისა წარღგენილი მხატვარი ქუაურელის მეერ ქან-შინ-წილ-კან-გან საზოგადოების მიიავარი გამგეობის წინამე დასაწუგებლოდ.

როდის შევიტყუე, რომ პოეტი ვარ.

ყოველივე მოდას, დიდი სიხალისით ვეგებებოთ და გაუსინჯავით ვღებულობთ.

რატომ?!

იმიტომ, რომ ის მოდაა.

აგერ ამხელა კაცი გავიზარდე და ფიქრათაც არ მომხვლია პოეტობა და ლექსების წერა, მაგრამ რას იზამ, მოდა მოვიდა.

ყველაფერს თავის მიზეზი აქვს; რაც უნდა ჩაიდინოს ამ დროში კაცმა პოეტობის გულისთვის, ეპატიება. რატომ?!. მიტომ რომ დანაშავე ცხოვრებაა... თუ პოეტი არ ხარ დღეს არ გარგია... ერთი სიტყვით უნდა ეცადოს ყოველი პროფესიის კაცი, როგორმე პოეტი გახდეს...

ამისთვის მას ყოველივე ცოდვის ჩადენას ვაპატივებ.

ვაპატივებ ბატონ მ. ანაშვილს, (იგივე მ. დვამიჩავას, პოეტობაში ასედაც იცნობენ) როდესაც ს. აბაშელის სონეტს რომელიც ასე იწყება:

„მე თვალს გარიდებ, შენ რათ ეძებ ჩემ თანაგრძნობას?

არა მსურს ვნახო შენს ტუჩებზე ღიმილის ვარდი, ვიცი ვერ დაეძღვევ ცეცხლად ნაფეთქს საშიშარ გრძნობას,

ვიცი დაგკარგავ, სულის ვარსკვლავო თუ შემოიყვარდი...

გრძნობის უფსკრული ცეცხლის ზღვა ბნელით მოცული; მის მწველ ღიმილში სძინავს დემონს, რღვევის ანგელოსს, და სხ.“

ახლა იხ. ჟურ. „ლახტი“ № 7. 1914 წ. მ. დვამიჩავასი.

„მე შენ არ გიკქერ; თვალს გარიდებ, არ მსურს გიყურო,

არ მსურს ვიხილო შენ ტუჩებზე ღიმილის ვარდი; ვგრძნობ რომ დავისზოზ სამუდამოთ დროს ცხოვრებისას,

თუ კი მაცთურო ერთხელ გნახე, და შემოიყვარდი... შენს მწველ ღიმილში, სძინავს დემონს, რღვევის ანგელოსს, და სხ.“

გნებავთ და იხალეთ „ახალი ჩანგი“ (გამოცემა 1910 წ. გვერდი 305) ლექსი „ანაშვილისა. შემდეგ ვაზ. „იმერეთი“ № 58 1914 წ. ლექსი

მ. ანაშვილისა, „მთის ნიავს“ და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბ. მ. ანაშვილმა ისეთი მიმბაძველობა გამოიჩინა, რომელსაც ორიგინალიდან ვერაფერი ვერ გაარჩევ და ამიტომაც მოიხვეჭა სახელი.

აი, მაგალითად დამსახურებული, ნიქიტრი, მსახიობ-რეჟისორი—ვ. შალიკაშვილი, შეხედეთ ვაზ. „სამშობლოს“ ფურცლებზე, როგორ ღირსეულად ამკობს თანამედროვე მგონებს: „ახლანდელი მგონების მუზა, კოკლი, ბრუტიანი, მელოტი და კუზიანი, ერთი სიტყვით, ქუთაისის ქუჩებში, რომ გივი მაშვიკო დადის იმასა გავს“-ო. ამავე დროს მგონს მ. ანაშვილს ასე მიმართავს: „შენ მგონანი ხარ, ციური ნიქით დაჯილდოებული, მაგრამ გახსოვდეს: მგონს თანა სდევს გზა ეკლიანი, იესოსებური ტანჯვა, წამება, მაგრამ არ შედრკება, იყავ ზვარაკი სამშობლო ქვეყნის; სიკვდილის შემდეგ მაღლიერი შენი ერი, გულს დაგისვენებს სალოცავ ხატათ“-ო.

არ ვიცი რა მეთქმის უსათუოდ შალიკაშვილის სიტყვით ჩვენს ქვეყანას დამხობა მოელის მაგრამ მე ფიქრობ, ხუთი წესვის დაქერა ერთ ხელში არ შეიძლება, და ამიტომაც აცილდა ბ. ვ. შალიკაშვილი ქარაივანს.

მაგრამ მე ყველას ვაპატივებ, ასეთ მოქმედებებს ცოდვად არ ვთვლი, ვინაიდან: დანაშავე ცხოვრებაა...

ჰო და ასე, სწორედ ამ მოდამ ამატორილია და დავიწყე კალმის ვარჯიშობა; ხან რას ვწერდი, და ხან რას: ბულბულს ვარდზე ვასიჯნურებდი, სოსანს ზამბახზე, სპილოს აქლემზე, სირაქლემს ინდაურზე და სხვა და სხვა. ბოლოს იმდენათ გავთამამდი, რომ თავი ეროვნულ მგონსად დავასა და ასეთი შინაარსის ლექსი დავწერე:

„ლექსის წერა, ღომის ქაბა, დღეს ჩემთვისა სულ ერთია; გადავწყვიტე აწ რომ გავხთე, საქართველოს პოეტია“... და სხვა.

ავდექ და სხვა ლექსებთან ერთად რედაქციის გაუძახე. მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, მე ფოტო დამიწერეს: „გირჩივთ ღომის ქამას დაეძალეთო“.

გული მომიკვდა.. დავღონდი. მაგრამ რას იზამ! დიდია მოდის ძაოა, გული არ გავიტყუე ვიფიქრე ეს ვილაცა არის „კილოაზნი“ რედაქცია ყოფილა, მოლი, ახლა სხვას გავუზავნი თქვა. ერთი პესიმისტური ლექსი დავწერე, რომელიც ასე თავი დებოდა:

„დღეს რაღა ვართ? გაქლექილი, ყველა მუნჯი, ყველა უტყვი;

თავი ჩვენი რაღათ გვიღირს,
როდესაც ჩვენ ვართ პირუტყვი?*

აქ კიდევ უარესი დამიწურეს ფოსტაში: „მერე პირუტყვები არ გეცოდნებათ თავს, რომ ადარებთო“. გადაწვივით ჩემს სიცოცხლეში არ გამეგზავნა ლექსი რედაქციაში.

ამ ხანებში, თბილისში ივ. როსტომიშვილმა 2 კაპეიკიანი გაზ. „სინათლე“ გამოსცა და აცხადებდა: „გზასაც რაზე აქვს დასაბუქვი ჩემ გაზეთში, სტრიქონზე ორი კაპეიკი გამოგზავნოსო. ვიფიქრე მოდი ამასაც ვსინჯავ, ფულს გაუგზავნი და როგორ არ დამიბუქდავს მეთქი, მაგრამ რა ბრძანებაა. იმან გაუჩინა ჩემ ჯიბეს ფაღარათი. რამდენ ლექსს დავწერდი, დავითვლიდი სტრიქონებს, ვიანგარიშებდი, და იმდენ ორი კაპიკის მარკას ჩაუძახებდი კონვერტში, და ვგზავნიდი. ვგზავნიდი და არ იბეჭდებოდა, ვგზავნიდი და არაფერი ამბავი მესმოდა.

ასე რომ, ბოლოს, რომ ვიანგარიშე 49 მან. 7 კაპ.*) სულ ტყვილა დამეკარგა.

გავიდა მას აქეთ დრო და ხანი, და შეუთხვევით ერთ რედაქტორს გავეცანი. მივიწვიე ერთ „რესტორანში“, და იმდენი ვაჭიფე, რომ სიმთვრალით ტუჩებში მკოცნიდა. მოგეხსენებათ ძალია პურმარლისა. ამის შემდეგ ერთმა შემთხვევამ მასლა მომკლა ლექსი დამეწერა და დავწერე.

მოვაგონებთ|..

(გუშდენი რეკე-როკოკოს)

უთქვამთ: სიმართლის მთქმელს,
კარგი ჰუნე ჰყავდეს,
როცა რამეს იტყვის,
უნდა მარკავდეს...

მეც ასე მომიხდა:
(გასაქცევათ ვაი,
რომ არ მყავდა ჰუნე,
და არცა ტრამვაი).

ქუთაისის სცენას,
ვით ახალი სოკო,
მოვევლინე ერთხელ,
„რეკე როკოკო“,
და, ვინც ჩემ სააში
იყო ვინმე ბრუნდი,
ყველას გადუქირე
მათრახისა კული.

-- ვიღრე ფებს გავდგამდი,
კულისებისკენა;
ბევრმა განიზრახა
ბრაზით ჩემი კენა.

მუშტებით, და წიხლით,
მოავდეს ერიში;
(განათლებას აღრე
მისცეს ანგარიში).

ქულს ხელი ვიტაცე,
მოვტრიალდი მალე,
ლამის მდუზარ ფრთებში,
უცნაოდ დავიშალე.


— ახლა განცხადება,
დავიკრე გულზე.
(მოწამეა ესა,
წარსულ სინანულზე).

როცა არ მყავს ცხენი,
გვერდით მოკაზმული,
რასაც რამეს ვიტყვი,
სულ იქნება ტყული.

ტყული სახუმარო
არ არის საწყენი.
თუ მსურს სიმართლის თქმა
მეყოლება ცხენი.

მოვაწერე ქვეშ „ერეკლე“ და მიუტანე ჩემ ნაცნობ რედაქტორს. ლექსი დაიბეჭდა, ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ქუჩაში რომ გავდიოდი თავი ბაყბა მდევი მეგონა, ვაჯობად გვერდზედ არ მივიხედავდი. როცა ჩემზე რამეს ლაპარაკობდენ ტუჩებზე ღიმი მიქროდა, საზოგადოებაში რომ ჩავდგებოდი, თავი საზოგადო მოღვაწე მეგონა, და ცხვირი მაღლა მიმქონდა; ქალიშვილებში, რომ ვავიარდი გულში ჩიტი მიფრენდა. როცა ისინი წითელ ვარდებს შემომთავაზებდენ, ჩემი გული პოეზიით იცებოდა. აი, ამ დღეს აღდგა მკვლრებით ჩემი დამსხვრეული იდეალები.

რეკემე როკოკო.




*) ცხადია ერთ სტრიქონში სამი კაპიკი აულია ბატონ რედაქტორს, ვინაიდან 7 კაპ. წყვილათ არ იყოფა.

ემშაი.



ყუმბარების საწყობი.



დიდი ზარბაზნის ყუმბარა „ჩემოდანად“ წოდებული.

დ. ს მ ნ ი.

(ღვინის „ფელსიფიკაციის“ გამო)

სჩანს აგრე სურდა ბუნებას,
ჩვენი იღბლის ბრუნება,
ერთის ათასზე მუხრუჭათ
დაქერა, — დაძაბუნება.
დრო გადის საუკუნითა
და მისი შავი გუნება,
ერთხელაც არ შეიცვალა
და ძველს კერპს ელამუნება.

არაყი ღვინოს შეება,
ეს ყველამ იცის მგონია;
ღვინომ დასძლია, მოიგო
ეს გადამწყვეტი რძიო.
ღვინოს, სინათლე ეღირსა
არაყს, მოედო ობია,
თვით უკეთ იცით ამ ორში,
ჩვენთვის რომელი სჯობია.
და აი ღვინოს დასქირდა
დამცველი იგივე პატრონი,
რომ წმინდათ დარჩეს, ასცილდეს
წამალი ვაჭრის ნასროლი.
კაცი შეიქნა საჭირო,
ქკვიანი, თან მოსაწონი,
რომ წუნი ვერვის დაედო, —
„დრახმებში“ გამონაწონი.
ეძებეს... დიდხანს ეძებეს,
შეინძრა თითქმის ხონია,
მაგრამ ამბობენ: ასეთი
აქ არვინ გაგვიგონია.
დაბოლოს, თურმე ნუ იტყვიო,
უსაფუძლოა შინება,
და ჩვენსა უიმედობას
მიეცა აღმა ვლინება:

გვერდში ნავაქრა „აპტეკის“, —
სოფელ კუხს დანაბინება,
რამ „მძიმე“ გამოსულიყო,
ამისთვის არ ნამზილება,
და ალბათ ისიც იცოდა,
რომ არვინ შენაცვილება,
თორემ ათას და რჯასით
ცხრა მთასა გადაფრინდება!..

ახლა ვიკითხოთ ვინ არის,
რომ ჩვენი დაცვა ინება?
— ქიათურაში ნამყოფსა,
ვირთხასაც ეცოდინება!
კოწია ჰქვია სახელათ
უყვარდა მუშათ გინება,
ხშირათ პანასე — ვოტრენსა
მისს კლავზე დანაძინება.
და მისივე დახმარებითა,
უცდიათ გამოძვრინება.
ცამ პირი უხსნა ბოლო დროს
რაკი უფალმან ინება:
ქათამმა, კვერცხმა და ფქვილმა
მუნითგან იწყო დინება
და ვინც ამ საკურთხის ვარს ყოფდა
ესხმოდა რისხვა, წყინება!
შემეწირველს კოწიასაგან
უხე კალთის ჰქონდა ფინება.
გაუგეს „მავენე“ პირებმა
და კოწოც აიხირება,
— შედიატორეთ მოითხოვეს,
აბა რად გაეწიბილება!
მუხაძე თამჯდლომარე,
რომ არ დაეწყო გინება,
ვარაზაშვილი მისგანა
„ტრეტინათ“ შეეხირება
იონა „მავენეთ“ ეკუთვნის,

ამას არ უნდა ცილება,
 ყველა ამ სამთა ცრემლები,
 გარჩევას დაეტრება...
 განაჩენის დროს ვარაზა—
 შვილი კოწოცენ იხრება,
 ხელს არ მოუწერს, გაურბის,
 სიმართლის შეერცხვინება;
 იონას, ხირურგ მუხამეს
 გამოაქვთ რა განჩინება,
 ორთავეს ხელ მოწერილი,
 პანასეს წარედგინება.
 პანასე ამავს ივიწყებს
 და სწრაფათ განცეკოლებს.
 ვაი, რა დიდი „მუშაკი“
 რა პაწათ შეიწირება!?

—

დღეს ღვინის გამყალბებელთა
 მომსპობათ მოგვევლინება,—
 „ეშმაკო“, ექვი რად შეგაქვს?
 „ტარტაროზს“ რად ეცინება?
 თუ ქათამ-კვერცხის საქვეში
 ყოფნიდა მას მოთმინება,
 რა დიდი ხათაბელაა,
 დღეს ჭანქარ ჩარხინება?!

ს — ნა.

გამოფენა თელავში.

ივლისის 49-ში თელავის სამმართველოს ინიციატივით მსოფლიო გამოფენა მოხდება. გამოფენაზე ბევრი ახალი ღირს შესანიშნავი ნაწარმოები და გამოგონებანი იქნება. გამოფენა „მოღებნით“ დაიწყება. მოღებნას გადიხდინ ხოლერობის წელს გადაცვლილი მღვდლები და ტერტერები. ქალაქის ბაღში გამოიფენება ადგილობრივი ჯიშის ღორები და ძაღლები.

სხვათა შორის ვალავა საკუთარი ცდის გადადაგვარებულ ღორებს გამოჰფენს ბაღში. ღორები მთლათ ტალახით იქნებიან გასვრილნი ანტისანიტარიის ხელშესაწყობათ.

გასპარ ოსეფოვი, თელავის ფოდრაჩივი, გამოიტანს ქიმიურათ შეერთებულს ფქვილს და ლამს. (ორი წილი ლამია ერთი ფქვილი). და ობიანს სინდს.

გიორგი ახალქადაქელოვის წინამძღოლობით თელავის მეთევზეები გამოიტანენ აყროლებულ ყო-

ველნაირ თევზს, რომელსაც გამოფენის შემდეგ ომში გაგზავნიან მხრჩობელ გაზების მაგიერათ, ოსმალების წინააღმდეგ.

ბრიგადია მეტუკე გამოჰფენს თავის ნაწარმოებს. სხვათა შორის ქიმიურად შეერთებულ მაწონს და წყალს. (ერთი წილი რძე 9 წილი წყალი).

კოტე გავლოვის წინამძღოლობით ვაქრები გამოიტანენ ძვირფასს, ფუტს ოთხ თუმნიანს შაბიამანს და გოგირდს.

ყასბები გამოიყვანენ ტუბერკულოზიან ძროხებს, რომლებსაც მუშტრებზედ გაჰყიდიან.

ჯიშჯიბა მეთოფე—თავის გამოგონილ დამბაჩებს და იარაღს, რომელიც არყით და ღვინით იტენება და ვარდება.

გიორგი ქესათე გამოიტანს ახლათ გამოგონილ საათს, რომელსაც მომართვა თავის დღეში არ სჭირდება.

ნერსესა აჯიმაშულოვის მეთაურობით გამოიფენება ღვინო ქიმაურათ შეერთებული წყალთან.

ხინკლეულობის პიონერი, ვასო თუმანიშვილი გამოჰფენს ბევრ ახალ ნაწარმოებს. სხვათა შორის ორმოცდა ათს ერთ შაურიან ხინკალს, შიგ ხორცის მაგიერად გერმანიიდან გამოწერილი აზოტი იქნება.

„პარტნოი“ მალამალა გამოიტანს კასტიუმს ნახევარ საათის განმავლობაში მოშაადებულს.

ვიკტორა მეწალე გამოჰფენს უზაღოშო ფეხსაცმელს ორ წუთში შეკერილს.

ფურემ დერციკის მეთაურობით გამოიფენება შეკერილი ძველეთლობა, რომელსაც შემდეგ ომისთვის გაჰგზავნიან.

იავორ ღურხუთაშვილის მეთაურობით გამოიფენება სირინოზის ხმიანი გრამაფონები, მანდალინები და გიტარები.

კოკლები გამოჰფენენ პეპელებისა და მატლების მწნილს.

კონაშვილები—მშვენიერად დამბალ ხილს.

მელიმონათეები—ქვიშით დატკობილ ძველ ესენციით შემკულ ლიმონათს. და ბევრი სხვა და სხვა გამოფენა იქნება.

გამოფენის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას რამდენიმე ცდას აჩვენებენ: ზოგიერთი კლუბისტები კარტის თამაშს მუშტი კრივთან შეერთებულს ფიზიკურათ, ბულვარდისტები ახალ სისტემის ვოზდუშნი პოცეკლუსი და ანტიინტერნაციონალურ ლაპარაკს.

ლოთიფოთი.

დ ე პ ე შ ე ბ ი .

ველისციხე. ადგილობრივმა კლუბისტებმა გადასწყვიტეს წარმოადგინონ ქართულ ენაზე „რევიზორი“. მზადება უკვე დაიწყო. ხალხი იჩქარის ბილეთების შექენას, რადგანაც წარმოდგენა შეიძლება ამ წლის დამლევისათვის მოესწროს. წმინდა შემოსავალი გადადებულია ბილიარდის განსახლებლათ. მეხი.

ხორაგოული. 28 ივნისს წარმოადგინა „ცხოვრება ბრძოლა“. გარდა სცენის მოყვარეთა ყველას ეძინა. ხალხი ნაშუადღევს სამ საათზე გამოადგიმეს. მეხის მოწინააღმდეგე.

ერკეთი. სამკითხველოს გამგეობა გაეფიცა საზოგადოებას და მოთხოვნილებანი წამოუყენა:

1. ძილის თავისუფლება.
2. მკითხველთაგან გაზეთების ხელშეუხებლობა.
3. თუ საჭირო იქნება სამკითხველოს ფურჩეთ გადაკეთება.

ობჩა. მამა აშბაკოს მკვდრები აუჯანყდენ. ადგილობრივ მეაფთიაქეს ქურში ფეხი ჩაუცდა და კინაღამ ხიფათს გადაეყარა ტუბ.

ტობანიერი. ჯიხაიშიდან კვლავ დაგვიბრუნდა ჩვენი „ძვირფასი“ მწერალი ბენედიქტე. კაცო ფულით არ დაფასდება, თორემ საზოგადოება ფულებს არ დაზოგავდა.

იქიდანვე. რადგანაც ძველ დეპუტატებს ბაზრის ფული ბევრი ვერ შეეჭავათ, საზოგადოებამ ისინი გადააყენა და დანიშნა ბ-ნი ბენედიქტე. სანკანძე.

ჭავანი. გამოვიდა პირველი ნომერი ყოველდღიური გაზეთი „ხუნტრუკისა“. ხელმძღვანელობენ გამოცემას ადგილობრივი ქალიშვილები. პირველ ნომერში პორნოგრაფია სჭარბობს.

ჭავანელი ბზივი.

აბაშა. ადგილობრივმა სანიტარულ კომისიამ დაბის შვათანა ადგილას აღმოაჩინა საუკეთესო საექიმო ტალახი (ლაფი), რომელიც ამავე კომისიათა თაოსნობით მოწვეულ პროფესორების გამოკვლევებით, საუცხოოდ არჩენს ქარებსა და მალიარიას. მაგრამ, რაკი აბაშელთათვის თავიანთ ჯანმრთელობაზე უკეთ ღირსების მოშენებაა საინტერესო, ამისათვის დაადგინეს, რომ ღირსების ბანაობას ხელი არ შეუშალონ.


იქიდანვე. პ.-ცემულ თედო ჟარდანიას ჩვენ-

ში ღირსეული შემკვიდრე აღმოაჩნდა. ეს გახლავთ მიხელ დავითაია და ისიც მასწავლებელი!..

ეს „მართლ მოაწუხუნ“ ხოხაეს სოფლიდან სოფლად და ავრცელებს აზრსა თედორისასა, ვითარცა ერთგული მოწაფე მისი. სოფელ ონტიფოს საკრედიტოს გლახება კრებაზე, დაისვა კითხვა ტირილში ქელესის მოსპობაზე. კითხვა ესე არ ევაშნიკა ძველი იდეით აღჭურვილსა მწირსა, დავითაიასა, და აღაპყრო ხელი თვისი და წარმოთქვა სიტყვა თვისი: „ჩენში უნდა გამტკიცდეს ძველი წყევულებები—მარჩიელები, ღამისთევები დღეობები, ტირილი, ქორწილი, ღამის გადავარდეს, ერი განსადღელშია, იმ პირთა მეოხებით, რომელთა მიზანია მანვე წენ ჩვეულებებთან ბრძოლა. ხომ დარჩა გასათხოვარი ქალები უქმროთ; დღემდე დღეობაში და ღამისთევაში ნახულობდენ. . საქმრო საცოლოები ერთი მეორეს. ეხლა კი... ხალხი განადგურდა და საჭიროა მისი ისევ მოშენება და დავიცოთ ყოველი ძველი ჩვეულებები ხელუხლებათო“.

იქიდანვე. ამ ბოლო ხანებში სამეგრელოში ძალიან გახშირდა ხერხემლისა და კუჭის ავადმყოფობა. როგორც ექიმები ამტკიცებენ პირველი გამოიწვია, ბ. ქავთარაძისაგან მოტანილი დამბალი სიმინდის გადარჩევამ, და მეორე ამავე დამბალი სიმინდით გამოკვებამ.

—ხანი.



წერილი რადაკშიის მიხარტი

ბატონო რედაქტორო!

ერთხელ, გურიაში ვანთქმული ხუმარა გოგია ჯღენტი თურმე ცხენს ეძებდა ბევრი იარა, ძლიერ დაილაღა და მოშივდა კიდევაც.

იქვე ახლოს შენიშნა შეშის მკრელი მუშები. ჩრდილოში ისხდნენ და სადილს შეეპყროდნენ. გოგია ჯღენტი მიუახლოვდა და გასძახა:

— იქნება საქმელი გრჩებათ ცოტა, რომ დგებატიყოთო.

გოგის უბასუხეს.

— რა გვარი კაცი ხარ შენაო.

— აბა რა ვიცი რაგვარი კაცს აქმევთ თქვენ სადღისო მიუგო ჯღენტმა.

მოვიყვანე ეს მაგალითი იმიტომ, რომ მინდა გავიგო: რა მიმართულების კაცს უბეჭდავთ თქვენ წერილებს. ეს მეორეთ გიგზაენი შენიშენას და არა ბეჭდავთ, ხოლო მისი დაბეჭდვა კი ძლიერ სასარგებლო იქნებოდა ზომილეთელი მასწავლებლისათვის.


ქაიხოსრო.

ბ.ნო ქაიხოსრო სიამოვნებით წავიკითხეთ თქვენი წერილი რედ. მიმართ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ გვარს სრულიად არა **ვკითხულობთ**. სამაგიეროთ არ **ვკითხულობთ** არც ზოგიერთ განცხადებებს.

აი თუ გსურთ გვარის უკითხავით დაგვეჭოთ, მოგვაწოდეთ ასეთი სახუმარო ამბები, როგორც მოყვანილია ამ თქვენს წერილში. გურიაში ბევრი იყო გონება მახვილი კაცი და მრავლათ არის დარჩენილი მათი მოსწრებული სიტყვა-პასუხები.

რა-ცა შევებება თქვენი სოფლის მასწავლებელს, თუ იგი ძლიერ შეეჩვია ბანქო—ნარდის თამაშს, თქვენი განცხადება ვერაფერს უშველის.

ეშმაკი.



ფ ო ს ტ ა

კოდარას. არ დაიბეჭდება.

შემთხვევით დამსწრეს. არ დაიბეჭდება.

ზაპანსოი ხალდათს. არ დაიბეჭდება. სამტრედელ ჯიბერებს სასჯელათ ისიც ეყოფათ, რომ ჩქარა ჯიბეში არავის არაფერი ექნება.

ღელისპირელს. არ დაიბეჭდება.

გაიგო თქვენი წერილისა. იწერებით: „ადგილობრივი საღმრთო სჯული ღელათა მონასტრის კარტის თამაშით ქალებსაო“. ქვევით — „ჩირგვიში და კოტრიალიში ბარათა“. კიდევ ქვემოთ იწერებით: „ტყუილია ხალხური ლექსი: ჩაუხდეთ, ჩაუხდეთ ბარათაშვილსა“, რადგან თითონ ბარათაშვილი ჩაუხდა სხვებსაო“. ერთი სიტყვით ვერაფერი გავიგეთ.

ხორგელს. „გაზაფხულდა, გაზაფხულდა“-ო იწერებით და ვერ გავიგია რომელ გაზაფხულზე ამბობთ.

კოდარას. „სამგზავროთ მოვემზადები

ჩემი გულა და სტვირითა,
თორემ მეყოფა შესტვირეს
რაც დრო ვატარე ძილითა“.

ამ სიტყეში მგზავრობა გაწყენთ. იძინეთ ცოტა კიდევ.

ქარიშხალს. წერილს განმარტება სჭირია: ვისზე, ან რისთვის იწერება.

ბუზს თქვენს მეთ ვერაფერს ვაიგებს.

ჭაბუკს. „ზარმაცებს“ სისუსტე ეტყობა არ დაიბეჭდება.

მღვიმელ ნიორს. თვით ეშმაკაც ვერაფერი

დასავლეთი საქართველოს

მევენახეთა საზოგადოება

„**ალექსანდროული**“

5 ივლისიდან დაიწყო

ღვინით ვაჭრობა

რაქა-ლეჩხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის და სხვა ღვინოები. **ოღვას ქუჩა. ხაზლი № 8.**

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრასი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**,
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.
„ეშმაკის მათრასში“ დაიბეჭდება მ ხ ა ლ დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები,
არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვეთები და სხვა.

◆ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრასისთვის)



*) ეს ადგილი კონკრეტზე მარკისთვის არის დანიშნული და გულმამიწეებს მოეგონებთ, რომ
◆ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ◆